შპს “Chive Georgia”
კომპანიის პოლიტიკა ხარისხისა და გარემოს დაცვის სფეროში
შემუშავებულია: დირექტორი არჩილ ვედიაშვილი
დამტკიცებულია: დირექტორი არჩილ ვედიაშვილი
თარიღი: 21.05.2026 **დოკუმენტის იდენტიფიკაცია: DI-03-01-2026**

LLC “Chive Georgia”
Tel.: +995 574 28 88 28;
Address: A. Tvalchrelidze, III turn, N4a, Tbilisi 0182, Georgia.
Instagram: chive.georgia
Facebook: Chive Georgia • მეტალის შეკიდული ჭერი
www.chivegeorgia.ge

„Chive Georgia“-ს ხარისხისა და გარემოს დაცვის პოლიტიკა

მისია:
ჩვენ ვართ მეტალის შეკიდუული ჭერის სისტემების მწარმოებელი კომპანია. კომპანია მიზნად ისახავს მომხმარებლებისთვის მაღალი ხარისხის პროდუქციის მიწოდებას, გარემოზე ზემოქმედების მინიმიზაციით.

ხედვა:
ჩვენ ვისწრაფვით კომპანიის განვითარებისა და ასორტიმენტის გაფართოებისკენ. ამისათვის ვიყენებთ მაღალტექნოლოგიურ აღჭურვილობას, ვამცირებთ წარმოების ნარჩენებს და ვნერგავთ საერთაშორისო სტანდარტებს.

ძირითადი მიზანი:
კომპანიის უწყვეტი განვითარება, წარმოებული ჭერის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და ისეთი პროდუქციის მიწოდების გამორიცხვა, რომელიც არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს და შეიძლება ზიანი მიაყენოს კომპანიის იმიჯს.

მენეჯმენტის სისტემის მოქმედების არეალი:
ხარისხისა და გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემა ვრცელდება მეტალის შეკიდული ჭერის სისტემების წარმოების პროცესზე

პოლიტიკის საფუძვლები და ხელმძღვანელობის ვალდებულებები
კომპანიის პოლიტიკა ეფუძნება სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს, ორგანიზაციის საქმიანობის, რისკებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.
კონკურენტუნარიანობისა და იმიჯის შენარჩუნების მიზნით, უმაღლესი ხელმძღვანელობა იღებს პასუხისმგებლობას:

- ხარისხისა და გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემის შესაბამისობაზე, ეფექტურ ფუნქციონირებასა და მუდმივ გაუმჯობესებაზე, საერთაშორისო სტანდარტების ISO 9001:2015 და ISO 14001:2015 მოთხოვნების შესაბამისად, ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისა და მომხმარებელთა კმაყოფილების გაზრდის უზრუნველსაყოფად;
- მოქმედი კანონმდებლობისა და ნორმატიული მოთხოვნების დაცვაზე სამუშაოების შესრულების პროცესში;
- გარემოს დაცვასა და დაბინძურების პრევენციაზე;
- საწარმოო აღჭურვილობის (მათ შორის ახალი საწარმოო ხაზების) შეძენაზე ასორტიმენტის გაფართოების მიზნით;
- თანამშრომელთა შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე;

LLC “Chive Georgia”
Tel.: +995 574 28 88 28;
Address: A. Tvalchrelidze, III turn, N4a, Tbilisi 0182, Georgia.
Instagram: chive.georgia
Facebook: Chive Georgia • მეტალის შეკიდული ჭერი
www.chivegeorgia.ge

- [illegible] [illegible]ადებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე, მათი საჭიროებებისა და მოლოდინების გათვალისწინებით, ორმხრივად სასარგებლო თანამშრომლობის განვითარების მიზნით.

მენეჯმენტის სისტემის ფუნქციონირება და პერსონალის ჩართულობა

უმაღლესი ხელმძღვანელობა ადგენს მიზნებს ხარისხისა და გარემოს დაცვის სფეროში მოთხოვნების შესრულების უზრუნველსაყოფად და რეგულარულად ახორციელებს მენეჯმენტის სისტემის ანალიზს მისი ეფექტურობისა და აქტუალობის შესანარჩუნებლად.

კომპანიის ყველა თანამშრომელი გაცნობილია ხარისხისა და გარემოს დაცვის პოლიტიკასა და მიზნებს, რომლებიც განსაზღვრულია უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ.

კომპანიის თითოეული თანამშრომელი მონაწილეობს დასახული ამოცანების შესრულებაში, იცის თავისი უფლებები და აცნობიერებს პირად პასუხისმგებლობას საწარმოო პროცესში.

დირექტორი ა. ვედიაშვილი

LLC “Chive Georgia”
Tel.: +995 574 28 88 28;
Address: A. Tvalchrelidze, III turn, N4a, Tbilisi 0182, Georgia.
Instagram: chive.georgia
Facebook: Chive Georgia • მეტალის შეკიდული ჭერი
www.chivegeorgia.ge

დოკუმენტირებული ინფორმაციის გაცნობის ფურცელი

№	სახელი, გვარი	გაცნობის თარიღი	ხელმოწერა	შენიშვნა
1	ნიკოლოზ ფლიონაშვილი	22.05.2026		
2	თედო მუნჯიშვილი	22.05.2026		
3	სოფიო ფუტკარაძე	22.05.2026		

LLC “Chive Georgia”
Tel.: +995 574 28 88 28;
Address: A. Tvalchrelidze, III turn, N4a, Tbilisi 0182, Georgia.
Instagram: chive.georgia
Facebook: Chive Georgia • მეტალის შეკიდული ჭერი
www.chivegeorgia.ge